





# შესაძლებლობები და გამოწვევები ქართული ბიზნესისათვის

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რადგან სწორედ ის მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს.

საქართველო ერთერთია იმ მცირერიცხოვან ქვეყნებს შორის, ვისთანაც ევროკავშირს გააჩნია თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი.



ევროკავშირი



თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან

DCFTA საქართველოს აძლევს საშუალებას ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება.

საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისაგან განსხვავებით, DCFTA გულისხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. გარდა ამისა, DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს და ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან.


საკანონმდებლო დაახლოების შედეგად შესაძლებელი გახდება არასატარიფო ბარიერების გადალახვა, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, უფრო მეტად ზღუდავს ვაჭრობას, ვიდრე ტარიფები.

DCFTA მოიცავს შემდეგ თავებს:

1. საქონლით ვაჭრობა
2. ვაჭრობაში დაცვითი ზომები
3. ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება
4. სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები
5. საბაჟოსა და ვაჭრობის ხელშეწყობა
6. დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცია
7. მიმდინარე გადახდები და კაპიტალის მოძრაობა
8. საჯარო შესყიდვები
9. ინტელექტუალური საკუთრების უფლებები
10. კონკურენცია
11. ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები ენერგეტიკის სფეროში
12. გამჭვირვალობა
13. ვაჭრობა და მდგრადი განვითარება
14. დავების მოგვარება
15. დაახლოების ზოგადი დებულებები

DCFTA-ის ამოქმედებით, საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ეხსნება მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც ამ ეტაპზე აერთიანებს 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს. საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება ხელს შეუწყობს საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდას. საქართველო გახდება მიმზიდველი ქვეყანა ინვესტორებისათვის, რაც გამოიწვევს ქვეყანაში საინვესტიციო ნაკადების ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. გარდა ამისა, DCFTA-ის ამოქმედება ხელს უწყობს ახალი სანარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის გაჩენას, ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას, სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოების განვითარებას ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. აღნიშნული, საბოლოო ჯამში პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე.

2012 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ეკორისისა და კეისის კვლევის თანახმად DCFTA შემდეგ ზეგავლენას იქონიებს ქვეყნის ეკონომიკაზე: **მთლიანი შიდა პროდუქტი** გაიზრდება 1.7%-ით მოკლევადიან პერიოდში და 4.3%-ით გრძელვადიან პერიოდში. **ექსპორტი** გაიზრდება 9%-ით მოკლევადიან პერიოდში და 12%-ით გრძელვადიან პერიოდში. **სამომხმარებლო ფასები** გაიზრდება მოკლევადიან პერიოდში 1%-ით და გრძელვადიან პერიოდში 0.6%-ით.



## საქონლით ვაჭრობა (ტარიფები)

შეთანხმების მიხედვით, არცერთ მხარეს არ აქვს უფლება დაანესოს ან შეინარჩუნოს საბაჟო ან სხვა ექვივალენტური გადასახადი საქონლის ექსპორტზე, ხოლო რაც შეეხება იმპორტს, განსაზღვრულია ქვემოთ მოცემული პირობები:





## იმპორტი საქართველოში

შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე (2014 წლის სექტემბრიდან) ევროკავშირში წარმოშობილი საქონლის იმპორტზე საქართველოში საბაჟო გადასახადი გაუქმდა.

საქართველოში იმპორტის გადასახადით დაბეგრული პროდუქციის სია იხილეთ ბმულზე: [www.economy.ge](http://www.economy.ge)

## იმპორტი ევროკავშირში

აღსანიშნავია, რომ DCFTA-ის მოლაპარაკებების პროცესში ქართულმა მხარემ მიაღწია უპრეცედენტო შეთანხმებას ევროკავშირთან სატარიფო ლიბერალიზაციის კუთხით. ქართული წარმოშობის ყველა პროდუქტი (მხოლოდ ნიორი - სატარიფო კვოტის ფარგლებში) გარკვეული პირობების (სურსათის უვნებლობისა და პროდუქტის უსაფრთხოების სტანდარტები) დაკმაყოფილების შემთხვევაში, ნულოვანი საბაჟო ტარიფით შევა ევროკავშირის ბაზარზე.

საქართველოდან ევროკავშირში იმპორტირებულ პროდუქციის ნაწილზე განსაზღვრულია შემდეგი ღონისძიებები:

### 1. ევროკავშირში „შესვლის ფასი“

28 სახეობის სასოფლო სამეურნეო პროდუქტზე (მთლიანი პროდუქციის 0.3%), მოქმედებს ევროკავშირში „შესვლის ფასი“. რაც გულისხმობს ამ პროდუქტების იმპორტზე მინიმალური ფასის ზღვარის დადგენას. პროდუქტების ჩამონათვალი იხილეთ ბმულზე: [www.dcfta.gov.ge](http://www.dcfta.gov.ge)

შესვლის ფასი შედგება 2 კომპონენტისაგან: ადვალორული (პროცენტული) საბაჟო გადასახადი და სპეციფიკური (ფიქსირებული) საბაჟო გადასახადი.

შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე ადვალორული საბაჟო

გადასახადი უქმდება და რჩება მხოლოდ სპეციფიკური საბაჟო გადასახადი, რომელიც მიბმულია პროდუქციის საინვოისო ფასთან.

თუ საქართველოში წარმოშობილი პროდუქციის საინვოისო ფასი, ევროკავშირში იმპორტისას, ევროკავშირის მიერ დადგენილ ფასზე დაბალი იქნება, იმპორტიორი გადაიხდის სპეციფიკურ საბაჟო გადასახადს, ხოლო თუ თანაბარი ან უფრო მაღალი იქნება, პროდუქცია „შესვლის ფასი“-ს მექანიზმისგან თავისუფლდება.

შესვლის ფასის გაანგარიშება იმპორტირებელი პროდუქციის სეზონურობის მიხედვით იცვლება.





## პომიდორის მაგალითი

0702 00 00 პომიდორი, ახალი ან გაცივებული	
ბაზარზე შესვლის ფასი 100კგ სუფთა წონისთვის:	სეზონური საბაჟო გადასახადი
1-ლი ივნისიდან 30 სექტემბრამდე	
არანაკლები € 52,6-ზე	14,4
არანაკლები € 51,5-ზე, მაგრამ ნაკლები € 52,6-ზე	14,4 + 1,1 €/100 kg/net
არანაკლები € 50,5-ზე, მაგრამ ნაკლები € 51,5-ზე	14,4 + 2,1 €/100 kg/net
არანაკლები € 49,4-ზე, მაგრამ ნაკლები € 50,5-ზე	14,4 + 3,2 €/100 kg/net
არანაკლები € 48,4-ზე, მაგრამ ნაკლები € 49,4-ზე	14,4 + 4,2 €/100 kg/net
€ 48,4-ზე ნაკლები	14,4 + 29,8 €/100 kg/net
1-დან 31 ოქტომბრამდე	
არანაკლები € 62,6-ზე	14,4
არანაკლები € 61,3-ზე, მაგრამ ნაკლები € 62,6-ზე	14,4 + 1,3 €/100 kg/net
არანაკლები € 60,1-ზე, მაგრამ ნაკლები € 61,3-ზე	14,4 + 2,5 €/100 kg/net
არანაკლები € 58,8-ზე, მაგრამ ნაკლები € 60,1-ზე	14,4 + 3,8 €/100 kg/net
არანაკლები € 57,6-ზე, მაგრამ ნაკლები € 58,8-ზე	14,4 + 5 €/100 kg/net
€ 57,6-ზე ნაკლები	14,4 + 29,8 €/100 kg/net

მაგალითად, თუ 1 იენისიდან 30 სექტემბრამდე შუალედში საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებული 1 კილოგრამი პომიდვრის ინვოისში მითითებული ღირებულება იქნება 0.53 ევროს (დაახლოებით 1.6 ლარი) ტოლი ან მეტი, ევროკავშირში იმპორტიორს არ მოუწევს შესვლის ფასის გადახდა.


## 2. გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმი

სოფლის მეურნეობისა და კვების გადამამუშავებელი პროდუქციის 277 სახეობა (მთლიანი პროდუქციის 3%) ექვემდებარება გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმს.


1. საქონლის, ღორის და ცხვრის ხორცი - 4 400 ტ.;
2. ფრინველის ხორცი - 550 ტ.;
3. რძის ნაწარმი - 1 650 ტ.;
4. კვერცხი ნაჭუჭით - 6 600 ტ. (132 მლნ. ც);
5. კვერცხები და ალბუმინები - 330 ტ.;
6. სოკო - 220 ტ.;
7. მარცვლოვანები - 200 000 ტ.;
8. ალაო და ხორბლის ნებოვანა - 330 ტ.;
9. სახამებლები - 550 ტ.;
10. შაქარი - 8 000 ტ.;
11. ანაცერი, ქატო და სხვა ნარჩენები - 2 200 ტ.;
12. შაქრიანი სიმინდი - 1 500 ტ.;
13. შაქარი დამუშავებული - 6 000 ტ.;
14. გადამამუშავებული მარცვლეული - 330 ტ.;
15. სიგარეტები - 500 ტ.;

ზემოთ ჩამოთვლილ პროდუქციაზე შეთანხმებაში მოცემულია წლიური ფიქსირებული რაოდენობები. ეს რაოდენობები არ არის კვოტა, რადგან მათი გაზრდა კვოტისგან განსხვავებით მარტივად არის შესაძლებელი. გაზრდის მექანიზმი მდგომარეობს შემდეგში, კერძოდ:

როდესაც კალენდარული წლის დასაწყისიდან გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმს დაქვემდებარებული ერთი ან მეტი პროდუქტის იმპორტი მიაღწევს ზემოთ მითითებული რაოდენობის 70%-ს, ევროკავშირი ატყობინებს საქართველოს აღნიშნულის შესახებ. საქართველოს აქვს შესაძლებლობა წარუდგინოს ევროკავშირს არგუმენტირებული (მაგ. წარმოების მოცულობის გაზრდის, უხვმოსავლიანობის და ა.შ) დასაბუთება წლის განმავლობაში იმპორტის შესაძლო გადაჭარბების შესახებ. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს შეუძლია განახორციელოს მექანიზმით გათვალისწინებულ რაოდენობაზე მეტი ოდენობის პროდუქციის იმპორტი ევროკავშირში საბაჟო გადასახადის გარეშე.



277 პროდუქტის სახეობის დეტალური სია იხილეთ ბმულზე: [www.dcfta.gov.ge](http://www.dcfta.gov.ge)



### 3. სატარიფო ქვობა

სატარიფო ქვობა (საბაჟო გადასახადის გაუქმება ფიქსირებული რაოდენობის ფარგლებში) დაწესებულია მხოლოდ ნიორზე 220 ტონის ოდენობით. აღნიშნული რაოდენობის ფარგლებში კალენდარული წლის განმავლობაში, საქართველოში წარმოშობილი ნიორის იმპორტი ევროკავშირში განხორციელდება საბაჟო გადასახადის გარეშე. თუ წლის განმავლობაში ნიორის იმპორტი გადააჭარბებს 220 ტონას, გადაჭარბებული რაოდენობა დაიბეგრება საბაჟო გადასახადით.



### საქონლის წარმოშობის წესები

იმისათვის, რომ საქონელმა ისარგებლოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით, მან უნდა დააკმაყოფილოს საქონლის წარმოშობის კრიტერიუმები, რომელიც განისაზღვრება შეთანხმებაზე თანდართული ოქმით.

ეს კრიტერიუმები მოიცავს როგორც საქონლის დამუშავების აუცილებელ მინიმალურ პირობებს, ისე საქონლის

წარმოებისთვის აუცილებელი მასალის ზღვრულ რაოდენობას, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს საქონელი ქვეყანაში წარმოშობილი პროდუქციის სტატუსის მოსაპოვებლად. მაგალითად, თუ საქართველოში შემოვიტანთ კომპიუტერის ყველა დეტალს და ავანყობთ კომპიუტერს, ეს კომპიუტერი არ ჩაითვლება საქართველოში წარმოებულად და შესაბამისად ევროკავშირში ექსპორტისას ვერ ისარგებლებს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით.

საქონლის წარმოშობა დგინდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- **ქვეყანაში მთლიანად წარმოებული საქონელი** - მაგალითად, ქვეყანაში მოყვანილი ან შეგროვებული ბოსტნეული ან ხილი, ქვეყანაში შობილი და გაზრდილი ცოცხალი ცხოველები, ქვეყანაში მოპოვებული სასარგებლო წიაღისეული.
- **სასაქონლო პოზიციის (HS Code) პირველ ოთხნიშნა დონეზე ცვლილება** - ამ კრიტერიუმის თანახმად საექსპორტო პროდუქციის წარმოებაში დაუშვებელია პირველ ოთხნიშნა დონეზე მსგავსი იმპორტირებული მასალების გამოყენება. მაგალითად, იმისათვის რომ ქვევრმა რომლის კოდი არის 6909 დააკმაყოფილოს წარმოშობის კრიტერიუმი, მის წარმოებაში არ უნდა იყოს გამოყენებული 6909 კოდში შემავალი იმპორტირებული კერამიკული მასალები.
- **ადვალური (ღირებულებითი) წილი** - ეს კრიტერიუმი განსაზღვრავს საბოლოო პროდუქციაში იმპორტირებული მასალების ხვედრით წილს. მაგალითად, იმისათვის რომ კონდენციონერი ჩაითვალოს საქართველოში წარმოშობილად, მის წარმოებაში დასაშვებია იმპორტირებული მასალების გამოყენება, რომელთა ღირებულება არ აღემატება საბოლოო პროდუქციის ფრანკო-ქარხნის (EXW) ფასის 40%-ს.
- **აუცილებელი პირობები, საწარმოო და ტექნოლოგიური ოპერაციები** - ამ კრიტერიუმის თანახმად პროდუქციის წარმოების პროცესში იმპორტირებულ მასალაზე აუცილებლად უნდა განხორციელდეს გარკვეული ტექნოლოგიური ოპერაცია. მაგალითად ხე-ტყის მასალა დახერხილი ან დაპობილი, რომ ჩაითვალოს საქართველოში წარმოშობილად მასზე უნდა განხორციელდეს შემდეგი ოპერაციები - გარანდვა, გახეხვა ან ტორსული შეერთება. აღნიშნული პირობა არ გამორიცხავს სხვა ოპერაციების

შესრულებასაც. მაგალითად ზემოთ აღწერილი ოპერაციების შესრულების შემდეგ ხე-ტყის მასალის შეღებვა არ გამოიწვევს წარმოშობის კრიტერიუმის მოთხოვნების დარღვევას.

აღსანიშნავია, რომ პროდუქციისათვის წარმოშობის სტატუსის მისანიჭებლად შესაძლებელია მოთხოვნილი იყოს ერთი ან ერთდროილად რამოდენიმე კრიტერიუმის დაკმაყოფილება. თითოეულ პროდუქციაზე (სასაქონლო კოდის მიხედვით) წარმოშობის წესები აღწერილია შეთანხმების ოქმში (იხილეთ ბმულზე: [www.dcfra.gov.ge](http://www.dcfra.gov.ge))

ასევე გასათვალისწინებელია, რომ **ქვემოთ მოცემული ოპერაციები არ გაითვალისწინება საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრისას**, მიუხედავად იმისა, დაკმაყოფილებულია თუ არა საქონლის წარმოშობის კრიტერიუმებიდან ერთ-ერთი მაინც:

- კონსერვირების ოპერაციები ტრანსპორტირების და შენახვის დროს;
- ფუთების დაშლა და აწყობა;
- რეცხვა, წმენდა; მტვრის, მჟავის, ზეთის, საღებავის მოცილება;
- ქსოვილის უთოობა ან პრესვა;
- ღებვისა და გაპრიალების მარტივი ოპერაციები;
- მარცვლეულისა და ბრინჯის გარჩევა, გაუფერულება, გაპრიალება;
- შაქრის ღებვის ან შაქრის ნატეხების დამზადების ოპერაციები;
- ხილის, თხილის და ბოსტნეულის თლა, კურკის გამოცლა და ნაჭუჭის მოცილება;
- თლა, მარტივი ფქვა ან მარტივი ჭრა;
- ცრა, გაცხრილვა, გადარჩევა, კლასიფიცირება, დაჯგუფება, მისადაგება;
- შეფუთვის მარტივი ოპერაციები;
- შტამპების, იარლიყების, ლოგოების მიმარება ან ბეჭდვა პროდუქციაზე;
- პროდუქციის მარტივი შერევა;
- შაქრის შერევა ნებისმიერ მასალებთან;



- ნაკეთობის აწყობა ან პროდუქციის დაშლა ნაწილებად;
- ზემოთ მოცემული ორი ან მეტი ოპერაციის კომბინირება;
- ცხოველების დაკვლა.

DCFTA მხარეების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შესაძლებელს ხდის ე.წ. კუმულაციის პრინციპის გამოყენებას საქართველოს, თურქეთსა და ევროკავშირს შორის, რაც გულისხმობს იმას, რომ შესაძლებელია საქონელს მიენიჭოს საქართველოს ტერიტორიაზე წარმოშობილის სტატუსი იმ შემთხვევაშიც კი, თუ მის წარმოებაში გამოყენებულია თურქეთის ტერიტორიაზე წარმოებული არასასოფლო-სამეურნეო მასალები. აღნიშნული პრინციპის ამოქმედების მიზნით ხელი მოეწერა საქართველო-თურქეთის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაში ცვლილებათა ოქმს, რომლის რატიფიცირება განხორციელდა საქართველოს მიერ 2017 წელს. დიაგონალური კუმულაციის ამოქმედება დაგეგმილია 2018 წლიდან, DCFTA შეთანხმებაში ცვლილებების შეტანისთანავე.



## არასატარიფო ბარიერები ვაჭრობაში

ნებისმიერი პროდუქტი სხვა ქვეყნის (მათ შორის ევროკავშირის) ბაზარზე შესვლისას ხვდება ორი ტიპის ბარიერს - სატარიფო და არასატარიფო ბარიერს. სატარიფო ბარიერი არის საბაჟო გადასახადი, რომელიც როგორც უკვე აღვნიშნეთ DCFTA-ის ძალაში შესვლის დღიდან განუღდა, ხოლო არასატარიფო ბარიერი არის პროდუქციის უვნებლობისა და უსაფრთხოების მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პროდუქტი იმისათვის, რომ შევიდეს ევროკავშირის ბაზარზე.

DCFTA-ს ფარგლებში ერთერთი მინიშვნელოვანი ადგილი უკავია არასატარიფო ბარიერების მოხსნას საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობის გამარტივებისათვის. არასატარიფო ბარიერებია ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები, სტანდარტების მოთხოვნები და პროდუქტის/ პროცესის შესაბამისობის შეფასება (სერტიფიცირება).

**სტანდარტი** - კონსენსუსის საფუძველზე შემუშავებული, სტანდარტების ორგანოს მიერ რეგისტრირებული დოკუმენტი, რომელიც საყოველთაო და მრავალჯერადი გამოყენებისათვის ადგენს წესებს, ზოგად პრინციპებს, მახასიათებლებს სხვადასხვა სფეროში ოპტიმიზაციის და თავსებადობის მისაღწევად.

**ტექნიკური რეგლამენტი** - სავალდებულოდ შესასრულებელი ტექნიკური ნორმების შემცველი აქტი, მიიღება საქართველოს მთავრობის დადგენილების ან კანონის ფორმით.

**მეტროლოგია** - ზომის, წონის, დროის და სხვა გაზომვის ერთეულების წარმოება და მათი გავრცელება ქვეყნის ტერიტორიაზე.

**შესაბამისობის შეფასება** - პროდუქტის და მომსახურების შესაბამისობის დადგენა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან ან/და სტანდარტებთან.

**აკრედიტაცია** - შესაბამისობის შემფასებელი პირების, სერტიფიკაციის ორგანოებისა და საინსპექციო ორგანოების კომპეტენტურობის შეფასება და შესაბამისი აკრედიტაციის მინიჭება.

ევროკავშირის ბაზარზე პროდუქციის შეტანისათვის მენარმემ უნდა მოახდინოს ევროპული ან/და საერთაშორისო სტანდარტის გამოყენება, რაც არის ნებაყოფლობითი და უზრუნველყოფს მისი პროდუქტის ან მომსახურების უსაფრთხოებას, ხარისხს და შესაბამისად კონკურენტუნარიანობას - როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე.

მნიშვნელოვანია ასევე ის, რომ მენარმეებმა პროდუქტის ან სერვისის ნარმოებაში გამოიყენონ მეტროლოგია, რაც უზრუნველყოფს პროდუქტის შექმნის პროცესში გამოსაყენებელი მანქანა-დანადგარებისა და სხვა ხელსაწყოების დაკალიბრებას და დამონებას. აღსანიშნავია, რომ განხორციელებული რეფორმების შედეგად 2014 წლის ბოლოს საქართველოს 3-მა მეტროლოგიურმა ლაბორატორიამ (მასა, ტემპერატურა, ელექტროგაზომვები) მიიღო საერთაშორისო აღიარება.

მას მერე, რაც მენარმე მეტროლოგიურად დაკალიბრებული ან დამონმებული ხელსაწყოებით და საერთაშორისო ან ევროპული სტანდარტის შესაბამისად აწარმოებს პროდუქტს ევროპის ბაზარზე შეტანისათვის, მას დასჭირდება შესაბამისობის სერტიფიკატი, რომელიც დაადასტურებს იმ ფაქტს, რომ წარმოებული პროდუქტი შეესაბამება მენარმის მიერ გამოყენებულ სტანდარტს.

მნიშვნელოვანია, რომ სერტიფიკაციის ორგანო, რომელიც გასცემს შესაბამისობის სერტიფიკატს აკრედიტირებულ იყოს ევროკავშირის რომელიმე წევრი ქვეყნის ან საერთაშორისოდ აღიარებული აკრედიტაციის ორგანოს მიერ, რათა ეს სერტიფიკატი აღიარებულ იქნას ევროკავშირის ნებისმიერი წევრი ქვეყნის მიერ.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის დახმარებით საქართველოს მთავრობის მიერ ხარისხის ინფრასტრუქტურის სფეროში განხორციელებული რეფორმების შედეგად 2017 წელს ევროპულ აკრედიტაციასა (EA) და საქართველოს აკრედიტაციის ცენტრს შორის გაფორმდა ორმხრივი აღიარების შეთანხმება, რაც აადვილებს ქართული პროდუქციის დაშვებას ევროპულ ბაზარზე და მას უფრო კონკურენტუნარიანს ხდის.

ორმხრივი აღიარების შეთანხმება გავრცელდება აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს მიერ

აკრედიტებულ შემდეგ სფეროებზე:

- გამოცდები და დაკალიბრება;
- პროდუქტის სერტიფიცირება;
- პერსონალის სერტიფიცირება;
- ინსპექტირება.

აღიარება გულისხმობს საქართველოში აკრედიტებული პირების (მათ შორის ლაბორატორიების) მიერ გაცემული სერტიფიკატების და ლაბორატორიული გამოცდის ოქმების საერთაშორისო აღიარებას. მაგალითისათვის, უკვე შესაძლებელია, რომ საქართველოში მენარმემ მიიღოს ევროკავშირში აღიარებული სერტიფიკატი ისეთ პროდუქტებზე როგორებიცაა: ხილი, ბოსტნეული, ხილის და ბოსტნეულისგან დამზადებული კონსერვები და სხვა სახის საკვები პროდუქტი, მინერალური და სასმელი წყალი, უალკოჰოლო სასმელები, ალკოჰოლიანი სასმელები, ფერადი და ძვირფასი ლითონები, ქიმიური მრეწველობის პროდუქტები, ავეჯი, და სხვ.

## სურსათის უვნებლობა

იმისათვის, რომ ქართლი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია შევიდეს ევროკავშირის ბაზარზე, მან უნდა დააკმაყოფილოს სურსათის უვნებლობის შესაბამისი მოთხოვნები. დაბალი რისკის სურსათი (მაგალითად, სხვადასხვა სახის ხილი და ბოსტნეული) შედარებით უფრო მარტივად შევა ევროკავშირის ბაზარზე, ვიდრე მაღალი რისკის (მაგალითად, ხორცისა და რძის პროდუქტები) სურსათი.

გადამუშავებული და მაღალი რისკის სურსათის ევროკავშირის ბაზარზე გატანისათვის უნდა დავაკმაყოფილოთ სამი მთავარი მოთხოვნა:

16. პროდუქტის შიგთავსი უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის მოთხოვნებს.
17. ექსპორტის მსურველს ანცობილი უნდა ჰქონდეს პროდუქტის შესახებ ინფორმაციათა მთელი ჯაჭვი და

ანარმოებდეს შესაბამის ლაბორატორიულ ანალიზებს საკუთარი პროდუქტის უვნებლობის დასადგენად.

18. საქართველოში უნდა არსებობდეს ევროკავშირში არსებული კონტროლის მექანიზმის (ინსპექტირება, ზედამხედველობა, მონიტორინგი და ა.შ) მსგავსი სისტემა.

აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია ქვეყანამ განახორციელოს საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოება ევროკავშირთან, რასაც ითვალისწინებს DCFTA. შეთანხმებას დანართის სახით ახლავს საკანონმდებლო დაახლოების სია (იხილეთ ბმულზე: [www.dcfta.gov.ge](http://www.dcfta.gov.ge)), რომელიც მოიცავს ევროკავშირის 272 საკანონმდებლო აქტს, რომლებთან დაახლოება მოხდება ეტაპობრივად 2027 წლამდე პერიოდში.

ევროკავშირში ექსპორტის მიზნით შესაძლებელია მოხდეს ცალკეული სექტორის, ქვესექტორის, საქონლის ან საქონლის ჯგუფისათვის, ინდივიდუალური ღონისძიების ან ღონისძიებების ჯგუფის ეკვივალენტობის დადგენა.

ეკვივალენტობის პროცედურა შესაძლებლობას იძლევა, მთავრობა არ დაელოდოს მთელი საკანონმდებლო პროცესის დასრულებას და პრიორიტეტული სექტორისათვის მოითხოვოს ეკვივალენტობის დადგენა.

მაგალითად, იმისათვის რომ მოხდეს თევზის გატანა ევროკავშირში, თევზმა უნდა გაიაროს ეკვივალენტობის აღიარების პროცესი, რაც გულისხმობს შემდეგს:

19. შემონმდება დოკუმენტურად ან ინსპექტირების გზით თევზის დაავადებების სტატუსი საქართველოში; თევზის სანარმოების ინსპექტირების და კონტროლის სისტემის ეფექტიანობა; თევზის შემადგენლობის შესაბამისობა ევროკავშირის მოთხოვნებთან; რამდენად ეფექტურად ახორციელებს სურსათის ეროვნული სააგენტო თევზის მწარმოებლების ინსპექტირებას.
20. მხედველობაში იქნება მიღებული სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული კონტროლის შედეგები
21. სანამ ეკვივალენტობის აღიარება დაიწყება, მთავრობამ უნდა მოახდინოს თევზთან დაკავშირებულ ევროკავშირის რეგულაციებთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საფეხურები ევროკავშირში მაღალი რისკის სურსათის ექსპორტისათვის:

- **საფეხური 1** - სურსათის მწარმოებელ სანარმოდ აღიარება და რეგისტრაცია (<http://nfa.gov.ge/ge/sursatis-uvnebloba/agiarebis-gzamkvlevi>)
- **საფეხური 2** - ზოგადი ჰიგიენის წესის მიხედვით სანარმოს მონყობა (<http://nfa.gov.ge/uploads/other/5/5553.pdf>)
- **საფეხური 3** – HACCP-ის პრინციპებზე დაფუძნებული სისტემით მიკვლევადობის ჯაჭვის აწყობა
- **საფეხური 4** - მთავრობა ახორციელებს საკანონმდებლო დაახლოებას საქართველოში არსებული რეალობების გათვალისწინებით
- **საფეხური 5** - მთავრობა ქმნის ევროკავშირში არსებული კონტროლის სისტემის მსგავს სისტემას
- **საფეხური 6** - მენარმეები აწარმოებენ ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამის სურსათს
- **საფეხური 7** – სურსათის ეროვნული სააგენტო შემოწმების შედეგად გასცემს დადებით დასკვნას პროდუქტის შესაბამისობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობასთან
- **საფეხური 8** - საქართველოს მიერ ეკვივალენტობის მოთხოვნა კონკრეტულ პროდუქტზე ან სექტორზე
- **საფეხური 9** - ევროკავშირის მიერ ეკვივალენტობის შესწავლის დაწყება მოთხოვნის მიღებიდან 3 თვეში
- **საფეხური 10** - ეკვივალენტობის შესახებ მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 360 დღეში ევროკავშირის მიერ გადაწყვეტილების გამოტანა გადის თუ არა პროდუქტი ევროკავშირის ბაზარზე

აღსანიშნავია, რომ შესაძლებელია სანარმოებმა ინდივიდუალურად მოიპოვონ (და არ დაელოდონ მთლიანი სექტორის ეკვივალენტობის აღიარებას) ევროკავშირში მაღალის რისკის სურსათის ექსპორტის უფლება თუ:

- სანარმო დააკმაყოფილებს გადამუშავებული პროდუქტის უვნებლობისა და ჯანმრთელობის შესახებ ევროკავშირის მოთხოვნებს
- სანარმო აწყობილი იქნება ევროკავშირის მოთხოვნების თანახმად



სურსათის ეროვნული სააგენტო შეიმუშავებს ასეთი საწარმოების სიას და ევროკავშირს წარუდგენს დამაკმაყოფილებელ გარანტიებს, რომ ეს კომპანიები აკმაყოფილებენ ევროკავშირში არსებულ უვნებლობისა და ჯანმრთელობის მოთხოვნებს.

**მნიშვნელოვანია, რომ ეკვივალენტობის აღიარების შედეგად, მენარმე არა მხოლოდ შეიტანს გარკვეულ პროდუქტს ევროკავშირის ბაზარზე, არამედ ეს გამოიწვევს ფიზიკური შემონმების შემცირებას საზღვარზე, ასევე პროდუქტის გაყიდვამდე განსაზღვრული პროცედურების გამარტივებას.**

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის დახმარებით მთავრობის მიერ განხორციელებული სამუშაოების შედეგად **2017 წლიდან საქართველო შესულია იმ მესამე ქვეყნების სიაში საიდანაც შესაძლებელია თავლისა და შავი ზღვის თევზისა და მისგან წარმოებული პროდუქტების, ასევე მატყლის ექსპორტი ევროკავშირში.**

## **რა არის HACCP?**

HACCP წარმოადგენს საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემას, რომელიც გულისხმობს ყველა პოტენციური საფრთხის წინასწარ დადგენას და მათი პრევენციის, აღმოფხვრის ან მისაღებ დონემდე დაყვანისათვის საჭირო ქმედებების დაწესებას.

HACCP შედგება 7 პრინციპისაგან:

- საფრთხის ანალიზის განხორციელება (საფრთხის დადგენა და შეფასება)
- კრიტიკული საკონტროლო წერტილების დადგენა
- კრიტიკული ზღვრების დაწესება
- მონიტორინგის პროცესის დაწესება
- მაკორექტირებელი ქმედებების დაწესება
- გადამონმების ქმედებების დაწესება
- ჩანაწერების წარმოების პროცედურების დაწესება

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 1 იანვრიდან HACCP-ის სისტემის დანერგვა სავალდებულოა საქართველოში მოქმედი რძის თერმული დამუშავების საწარმოებისათვის და სასაკლაოებისათვის. HACCP დანერგვა არ არის საჭირო პირველად წარმოებაში.

## **ვაჭრობაში დაცვითი ზომები**

შეთანხმება არეგულირებს ვაჭრობაში დაცვითი, ანტიდემპინგური და სუბსიდიების საწინააღმდეგო ზომების გამოყენების პირობებს. ვაჭრობაში დაცვითი ზომების გამოყენების შემთხვევაში მხარეები ხელმძღვანელობენ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) შესაბამისი ხელშეკრულებებით.

მოცემული შეთანხმებით განსაზღვრულია, რომ დემპინგური იმპორტის, გადაჭარბებული იმპორტისა და სუბსიდირებული იმპორტის შემთხვევაში, მხარეებს უფლება აქვთ ვმო-ს შეთანხმებებით გათვალისწინებული პროცედურებით გამოიყენონ ვაჭრობაში დაცვითი ზომები. აღნიშნული ზომების გამოყენება შესაძლებელი იქნება მას შემდეგ, რაც საქართველოს ექნება შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა.

## **საზარო შესყიდვები**

შეთანხმება ითვალისწინებს შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვების ბაზრების ორმხრივ და თანმიმდევრულ გახსნას. დღეისათვის ქართულ კომპანიებს არ შეუძლიათ მონაწილეობის მიღება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში გამოცხადებულ სახელმწიფო ტენდერებში. ევროკავშირის შესაბამისი ბაზრის გახსნა ქართული კომპანიებისათვის მოხდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ეტაპობრივად და თანმიმდევრულად.

ბაზრის ეტაპობრივი და თანმიმდევრული გახსნა დაკავშირებულია საკანონმდებლო დაახლოებასთან. სახელმწიფო შესყიდვების შეთანხმება მოიცავს დანართს, სადაც განერილია კანონმდებლობის თანმიმდევრული დაახლოებისა და შესაბამისად, ბაზრის გახსნის ეტაპები და ვადები.

## DCFTA ვებ გვერდი

2017 წლის ივნისიდან ფუნქციონირებს DCFTA-ის შესახებ ახალი ვებ-გვერდი [DCFTA.gov.ge](http://DCFTA.gov.ge), სადაც თავმოყრილია DCFTA-თან დაკავშირებული ყველა სახის ინფორმაცია, როგორც ვალდებულებების ასევე, ევროკავშირის ბაზარზე შესვლასთან დაკავშირებით არსებული მოთხოვნებისა და საერთაშორისო მხარდაჭერის შესახებ. გარდა ამისა, ხაზგასასმელია, რომ ვებ-გვერდზე ხორციელდება DCFTA-სთან დაკავშირებული ყველა კანონპროექტისა და რეგულაციის პროექტის განთავსება, რათა დაინტერესებულმა მხარეებმა შეძლონ კომენტარების გაკეთება მათ დამტკიცებამდე.

ბროშურის თავდაპირველი ვერსია შემუშავდა ექსპორტის განვითარების ასოციაციის მიერ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით პროექტის „DCFTA შესაძლებლობები და გამოწვევები ქართული ბიზნესისთვის“ ფარგლებში, რომელიც ინიცირებული და დაფინანსებულია TBC ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ.

წინამდებარე ბროშურა წარმოადგენს 2017 წელს, ექსპორტის განვითარების ასოციაციის მიერ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან თანამშრომლობით განახლებულ ვერსიას.

ბროშურაში გამოყენებული გრაფიკული მასალის ავტორები არიან თამარ ხურცია და მარიამ ჩალაური AGENDA.GE

წინამდებარე ბროშურა დაბეჭდილია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული FASSI პროექტის ფარგლებში, რომლის განმახორციელებლები არიან: საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (GFA), ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი, ასოციაცია „ათინათი“, სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA) და ექსპორტის განვითარების ასოციაცია (EDA).

“წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ექსპორტის განვითარების ასოციაცია (EDA) და პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.”











ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
EU4Business

**ISET**



Georgian Farmers' Association  
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

ემსკორტის განვითარების ასოციაცია

+995 032 2147498

[team@eda.org.ge](mailto:team@eda.org.ge)

[www.eda.org.ge](http://www.eda.org.ge)